მოგესალმებით კოლეგებო! დღევანდელი ჩვენი საუბარი შეეხება შოტლანდიელი ფილოსოფოსის, ადამ სმიტის უკვდავ ნაშრომს: „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის, ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, რომელიც დაახ. 250 წლის წინ შეიქმნა და დღესაც შეიძლება ითქვას რომ აქტუალურია და დიდ დაინტერესების საგანს შეადგენს, როგორც ეკონომიკის სფეროში მოღვაწე თეორეტიკოსებისათვის, ასევე ეკონომიკურ პოლიტაკაში გადაწყვეტილების მიმღებთათვის.ადამ სმიტი წარმოადგენს შოტლანდიური განმანათლებლობის ერთ–ერთ თვალსაჩინო მოღვაწეს. იგი დაიბადა ქალაქ კერკულში, შოტლანდიაში 1723 წელს და იმთავითვე მიიღო ძალიან კარგი აღზრდა–განათლება. ჯერ კიდევ 14 წლის იგი გახდა გლაზგოს უნივერსიტეტის სტუდენტი, მოგვიანებით სწავლა განაგრძო ოქსფორდის უნივერსიტეტში, ბელიოლის კოლეჯში. უნივერსიტეტის დასრულებისთანავე მან დაიწყო თავისი აკადემიური საქმიანობა. 1759 წელს გამოაქვეყნა უკვე თავისი პირველი ნაშრომი, მორალური სენტიმენტების თაობაზე. რამოდენიმე წლის შემდგომ მას მიეცა საშუალება, ძალიან კარგი შემოთავაზება მიიღო მან ერთ–ერთი დიდგვაროვანისაგან, ლორდ ბერქლიუსაგან, რომ გაეწია მეურვეუბა მისი ვაჟისათვის და თანხლებოდა ევროპაში ამ ახალგაზრდის ვოიაჟს. ევროპა რომელიც იმხანად წარმოადგენდა მოწინავე აზრების გენერატორს, ბუნებრივია განათლების თვალსაზრისისთაც მისაბაძი იყო და სწორედ ამიტომ მოხდა ამ დიდგვაროვანი ახალგაზრდის მოგზაურობის ორგანიზება,რითაც ძალზედ ისარგებლა ადამ სმიტმა,რამეთუ მას მიეცა საშუალება საფრანგეთში შეხვედროდა იმ დროის მოწინავე მოაზროვნეებს, რომლებმაც საბოლოო ჯამში წარუშლელი კვალი დატოვა მის შეხედულებებზე და სწორედ ამ იდეების ზეგავლენის ქვეშ უკვე ევროპაში მოგზაურობის პერიოდში ადამ სმიტმა დაიწყო თავისი იდეების გადატანა ქაღალდზე და ამ ყველაფერმა საბოლოო ჯამში მიიღო ნაშრომის სახე. მოგვიანებით ამას დაჭირდა 10 წელი. ადამ სმიტის ბრიტანეთში დაბრუნების შემდგომ მან გააგრძელა მუშაობა ამ ნაშრომზე და 1776წელს უკვე გამოიცა მისი წიგნი: „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის შესახებ“, რამაც როგორც უკვე აღინიშნა იმთავითვე ყურადღება მიიპყრო მოწინავე ევროპული და მსოფლიო საზოგადოების და იქცა იმ პერიოდის საუკეთესო ნააზრევად ეკონომიკურ სფეროში. რითაც საფუძველი ჩაეყარა კლასიკურ ეკონომიკურ პოლიტიკას და იმ ლიბერალური ეკონომიური მოდელის განვითარებას რაც მოგვიანებით უკვე საუკუნეების მანძილზე სახელმწიფოებმა თავიაანთი ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების და შესრულების მთავარ ძირითად ინსტრუმენტად მიიჩნიეს.